საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აღმოსავლეთი კავკასიონი

აღმოსავლეთი კავკასიონი, კავკასიონის მთიანეთის აღმ. ნაწილი, მყინვარწვერიდან ილხიდაღის მწვერვალამდე, ჩრდ. ოსეთის, ჩაჩნეთის, ინგუშეთის, დაღესტნის, საქართველოს და აზერბაიჯანის ფარგლებში. ა. კ-ში შედის მთავარი, გვერდითი (პირიქითის, ბოღოზის, ნუკატლისა და სამურის ქედები), ანდის, სალათაუს და გიმრის ქედები. სიმაღლე 3500–4000 მ-მდე, მაქს. – 4498 მ (მწვ. თებულოსმთა); უდიდესი სიგანე 160 კმ. ა. კ. აგებულია უმთავრესად ქვედა-და შუაიურული თიხაფიქლებით, ქვიშაქვებითა და კირქვებით. კალთებზე განვითარებულია მთა-მდელოს, მთა-ტყის (უმთავრესად სამხრ. კალთაზე), მდელო-სტეპისა და სტეპის ლანდშაფტები.

ლ. მარუაშვილი